ზენიტელთა წარმატება

ლენინგრადი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონი. 6 აგვისტო.

”ზენიტი” (ლენინგრადი) – ”დინამო” (თბილისი) 3:1 (0:0).

”ზენიტი”: ბირიუკოვი, დავიდოვი, ვ. კუზნეცოვი (იაკოვლევი), ს. კუზნეცოვი, ვედენეევი, ლარიონოვი, დოლგოპოლოვი, კაზაჩონოკი (კლემენტიევი), ჟელუდკოვი, მელნიკოვი, ჩუხლოვი.

”დინამო”: იმნაძე, ანდღულაძე (კოსტავა), ჩივაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, დარასელია, სვანაძე (ჯოხაძე), სულაქველიძე, გუცაევი, ცავა, შენგელია.

მსაჯი: მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).

გააფრთხილეს ვედენეევი (წლევანდელ სეზონში მესამედ).

დუბლიორები - 1:0.

ლენინგრადის ”ზენიტის” წლევანდელი სიურპრიზები გაოცებას იწვევს. ამ რამდენიმე ხნის წინ ლენინგრადელებმა მეტად პრინციპული მატჩი წააგეს ტაშკენტში, თანაც ერთობ უჩვეულო ანგარიშით - 0:5, შემდეგ ჩავიდნენ ალმა-ათაში და დაამარცხეს ადგილობრივი ”ქაირათი” – 3:2, მერე კი შინ მიიღეს ერევნის ”არარატი”, რომელიც წლეულს დიდი შუუპოვრობით გამოირჩევა, და სენსაციურ გამარჯვებას მიაღწიეს - 5:0.

როგორღაც არ ეფარდება ერთმანეთს წაგება და მოგება 5 ბურთის სხვაობით, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ”ზენიტი” წლეულს აშკარა აღმავლობის გზაზეა და გათამაშების ლიდერთა უშუალო სიახლოვესაც იმყოფება.

მით უფრო საჭირო იყო თბილისის დინამოელთათვის მთელი ძალების მობილიზება ამ მნიშვნელოვანი მატჩისთვის. მათ, მართლაც მაღალ ტემპში, სწრაფად დაიწყეს თამაში და საკმაო ხნის მანძილზე საფუძვლიანად ეპყრათ ხელთ ინიციატივა. ამ პერიოდში ”ზენიტი” ღრმა დაცვაში იმყოფებოდა, გუცაევს, ცავას, შენგელიას არაერთი შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღწიათ წარმატებისთვის, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები არ იყო ზუსტი. ტაიმის დასასრულს მასპინძლებმა გაათანაბრეს თამაში, ანგარიშის გახსნის შანსი მიეცა კაზაჩონოკს.

შესვენების შემდეგ უპირატესობამ ზენიტელთა მხარეს გადაინაცვლა. როგორც კი განახლდა თამაში, დოლგოპოლოვმა შორი მანძილიდან ზუსტად გაგზავნა ბურთი სტუმართა კარის ბადეში, 49-ე წუთზე კი დინამოელებს 11-მეტრიანის უფლება მიეცათ, შენგელიამ გაათანაბრა ანგარიში - 1:1.

56-ე წუთზე დინამოელთა დაცვის შეცდომა კარგად გამოიყენა ჩუხლოვმა და წინ გაიყვანა თავისი გუნდი. შემდგომში თბილისელები ბევრს ეცადნენ, ”ზენიტის” კართან მრავალი სახიფათო მომენტი შექმნეს, ანგარიშის გათანაბრება შეეძლოთ შენგელიას, სულაქველიძეს, ცავას, მაგრამ ეს იერიშები უშედეგოდ დამთავრდა.

89-ე წუთზე დინამოელთა მხარეს დაინიშნა საჯარიმო, ჟელუდკოვმა შორი მანძილიდან ძლიერად, ზუსტად დაარტყა მიზანში - 3:1.

”ლელო”, 8 აგვისტო, 1982 წ.